

თათია დოლიძე¹

**„ჩვენ“ „სხვების“ წინააღმდეგ: „ბალტიისპირეთის
ქვეყნებისა და საქართველოს გზები ევროპისკენ“
(1991-2004)**

აბსტრაქტი

სტატია შთაგონებულია იმ ემპირიული თავსატეხით, რომელსაც ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შემთხვევების შედარება წარმოადგენს 1991-2004 წლებში, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლიდან ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებამდე და საქართველოს ჩართვამდე ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში. დამოუკიდებლობის ამ 13 წლის განმავლობაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს მიმართ ევროკავშირის პოლიტიკისა და დისკურსული პრაქტიკის შედარებით, ავტორი აღმოაჩენს, რომ მათი ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვა ტრაექტორია განისაზღვრა ევროკავშირის მიერ ბალტიელების და ქართველების ევროპული იდენტობის განსხვავებული აღქმის ფონზე. სტატიაში ევროპული იდენტობა განიხილება, როგორც სოციალური კონსტრუქცია ევროკავშირის ხელში, რომელიც ხშირად ხდება ასპირანტთა მეტი ან ნაკლები ევროპული ინტეგრაციის გამართლების მიზეზი. დასკვნები თეორიულად არის ინტერპრეტირებული დისკურსული ინსტიტუციონალიზმის მეშვეობით, რომელიც დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიასთან ერთად, განარჩევს ევროკავშირის კომუნიკაციის მანერას ერთი მხრივ ბალტიისპირეთის ქვეყნების და მეორე მხრივ საქართველოს მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ბალტიის ქვეყნები, საქართველო, ევროპული ინტეგრაცია, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ევროპული იდენტობა

თავსატეხის წარდგენა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის [სსრკ] დაშლის შემდეგ, ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი [შემდგომში ბალტიისპირეთის ქვეყნები] და საქართველო სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მძიმე გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდნენ. საბჭოთა სისტემების ნანგრევებზე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოები უნდა აღმოცენებულიყო.

წარმატებული რეფორმებისთვის გარკვეული წინაპირობები უკვე არსებობდა: პირველ რიგში, საქართველოს და ბალტიისპირეთის საზოგადოებების მამოძრავებელ ძალას დამოუკიდებლობისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილი წარმოადგენდა (Siversten S. H, 2011, გვ.154), – ამ სოციალურ კაპიტალს პოზიტიური როლი უნდა შეესრულებინა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში. ამასთან, პოლიტიკური პარტიების სახით ეროვნული მოძრაობების არსებობა მყარ საფუძველს ქმნიდა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის (Sabanadze, 2010, გვ.60, გვ.90) და ბოლოს, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, არსებულ არასაბჭოურ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და შედარებით განვითარებულ ინფრასტრუქტურას ხელი უნდა შეეწყოს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის (Dawisha & Parrott, 1994, გვ. 190-194; Gylfason, 2008, გვ.4). მაშინ, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ეს შესაძლებლობები წარმატებით გამოიყენეს, საქართველოსთვის გარდამავალი პერიოდი დაუსრულებელ პოსტსაბჭოთა კოშმარში გადაიზარდა. ხელსაყრელი გარემოებები დროს გაპყვა, მრავალპარტიული პოლიტიკის შექმნის ოცნება გაიცრიცა, მოზიდული კაპიტალი მიი-

¹ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, ელექტრონული ფოსტა: tatia.dolidze@gmail.com

ლია და ინფრასტრუქტურა დაზიანდა. საქართველო სამოქალაქო ომების ქარცეცხლში გაეხვა, რამაც ერი კიდევ უფრო გააღატაკა და ქვეყანა მის ორ რეგიონზე იურისდიქციის დაკარგვამდე მიიყვანა.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან ცამეტი წლის შემდეგ, ევროკავშირმა ბალტიისპირეთის ქვეყნებს კარი გაუღო და სრულფასოვანი წევრ სახელმწიფოებად მიიღო, მაშინ, როდესაც საქართველოს მხოლოდ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულობა შესთავაზა, განწევრიანების რეალური პერსპექტივის გარეშე. ამ თავსატეხით დაინტერესებული ავტორი აანალიზებს ევროპული ინტეგრაციის პროცესების განსხვავებულ შედეგებს ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოსთვის.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 8 ქვეყნიდან, რომლებიც ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდნენ, მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ სსრკ-ს ყოფილ სატელიტ სახელმწიფოებს, არამედ ჭეშმარიტად პოსტსაბჭოურს [საქართველოს მსგავსად]. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ პირველებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან და ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ მათ განაცხადეს უარი, შეერთებოდნენ რუსეთის მიერ გაძლოლილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკა უსაფრთხოების საკითხების გარშემო ვითარდებოდა, კერძოდ, კი რუსეთის მათ საშინაო საქმეებში ჩარევის გამონვევის ირგვლივ, შესაბამისად, ყველა მათგანმა აირჩია განვითარების ევროპული გზა.

ევროკავშირში მათი ინტეგრაციის პერსპექტივის თვალსაზრისით მსგავსი საწყისი პოზიციებით, მაგრამ განსხვავებული შედეგებით, საქართველოსა და ბალტიისპირეთის შემთხვევები მიიჩნევა „ყველაზე მსგავსად“ თვისებრივი შედარებითი კვლევისთვის (George & Bennett, 2005, გვ.50). ეს მსგავსება წინააღმდეგობაში მოდის რაციონალისტური აზროვნების სკოლასთან და მოითხოვს ანალიზში იდეური ფაქტორების გათვალისწინებას. თუმცა, კონსტრუქტივიზმი, როგორც ალტერნატიული თეორია, შეზღუდულია იმით, რომ ის არ იძლევა პასუხებს ევროპული ინტეგრაციის პროცესების მამოძრავებელ და/ან შემაკავებელ ძალებზე (Theiler, 2005, გვ.15) და არ გააჩნია მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, როგორცაა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი რაციონალისტებისთვის (Adler, 2002, გვ.109). ამის გათვალისწინებით, ავტორმა მიმართა დისკურსულ ინსტიტუციონალიზმს [Discursive Institutionalism] (Schmidt, 2008), რომელსაც აქვს პოტენციალი წოდებულ იქნას ევროპული ინტეგრაციის კონსტრუქტივისტულ თეორიად, და გამოიყენა იგი დისკურსის ანალიზის თანდაყოლილ მეთოდოლოგიასთან ერთად ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს მიმართ ევროკავშირის კომუნიკაციის მანერაში განსხვავებების საკვლევად.

ერთი მხრივ, ავტორი განიხილავს "ევროპაში დაბრუნების" ფორმულას, რომელიც ხაზს უსვამს ბალტიელების კუთვნილებას "დასავლეთ ევროპის საერთაშორისო საზოგადოებასადმი" ["ჩვენ"], რომლისგანაც ისინი იძულებით იყვნენ მოწყვეტილნი კომუნისტების მმართველობისას ათწლეულების განმავლობაში (Schimmelfennig, 2003, გვ.90). მეორე მხრივ, იგი აკვირდება საქართველოს მიმართ გამოყენებულ დისკურსულ პრაქტიკას [„სხვები“], რომელმაც, საბოლოოდ, საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემადგენლობაში შეყვანით, მიიღო მისი ევროპის „მეზობლად“ დასახელების ფორმა. ამგვარად, დისკურსული ინსტიტუციონალიზმი გამოიყენება ევროკავშირის მიერ ევროპული იდენტობის ინსტრუმენტული გამოყენების შესახებ თეორეტიზაციისთვის, „ჩართვის“ და „გარიყვის“ პოლიტიკებისა და დისკურსის მეშვეობით, რომელიც ევროკავშირმა გამოიყენა ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოს მიმართ.

ავტორი ამტკიცებს, რომ ევროკავშირი ყოველთვის აფასებდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს, როგორც ევროპულს [„ჩვენ“], რამაც ხელი შეუწყო მათ ევროკავშირში განწევრიანების პროცესს, ხოლო საქართველო განიხილებოდა, როგორც ნაკლებად ევროპული [„სხვები“], რამაც შეზღუდა მის პერსპექტივა ევროინტეგრაციის გზაზე. შესაბამისად, ავტორი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მიერ მათი ევროპული იდენტობის გამორჩეული აღქმა არის წარმოდგენილი თავსატეხის მინიმალური ახსნა.

შესწავლილი პირველადი წყაროები ძირითადად გახლავთ სტრატეგიის დოკუმენტები, საბჭოს დასკვნები, პრეს-რელიზები, კომისიის შეხვედრები და შესაბამისი კომისრების გამოსვლები. ამ სტატიაში მოყვანილი ანალიზი მოიცავს სამეტწლიან პერიოდს, დაწყებული 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით და დამთავრებული 2004 წლით, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნები გახდნენ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები, ხოლო საქართველო შევიდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემადგენლობაში. სსრკ-ს დაშლის წინარე პერიოდიც არის, ასევე, მიმოხილული შემდგომი ანალიზისთვის კონტექსტის მოსამზადებლად.

„ჩვენ“: ბალტიის ქვეყნები ევროპაში ბრუნდებიან

1989 წლის 23 აგვისტოს, ბალტიისპირეთის მოსახლეობამ შექმნა ცოცხალი ჯაჭვი, რომელიც ვილნიუსიდან რიგამდე, ტალინის გავლით გადაიჭიმა. ბალტიისპირეთის ქვეყნების ისტორიის ეს ცნობილი ეპიზოდი ცხადყოფს, რომ საბჭოთა რეალობისგან გათავისუფლება მათი მტკიცე არჩევანი იყო (O'Connor, 2003, გვ.155). ორ მილიონამდე ხელჩაკიდებულმა ადამიანმა 600 კმ-იანი ჯაჭვით გააპროტესტა 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, რომლის საფუძველზეც საბჭოთა კავშირმა და ნაცისტურმა გერმანიამ ბალტიისპირეთის ქვეყნები გადაინაწილეს (Kasekamp, 2010, გვ.125). ამ ისტორიულ მოვლენას 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა და დასაბამი მისცა ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროინტეგრაციის პროცესს. აქედან მოყოლებული ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ევროკავშირის წევრობის „უსაფრთხო“ გზას დაადგინეს. სიტყვა „უსაფრთხო“ ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ, ევროკავშირის პოლიტიკის პოზიტიურად სტაბილურ და უპრობლემო ბუნებაზე მიუთითებს. ევროკავშირმა თავიდანვე გაუსვა ხაზი ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში წევრობის გარდაუვალობას.

დავინწყოთ იმით, რომ ევროკავშირმა ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ პრეფერენციული პოლიტიკის გატარება უკვე 1991 წლიდან დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 6 თვის თავზე, ისინი უკვე სარგებლობდნენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სტატუსით და მოაწერეს კიდევ ხელი ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებებს (Rukhadze, 2012, გვ.2). იმავე წელს, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი პოლონეთთან და უნგრეთთან ერთად მიიწვიეს ეკონომიკის რესტრუქტურისაციის მხარდაჭერის პროგრამაში [PHARE] (Europa Publications, 2003, გვ.227). PHARE-ს ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა იერარქიულად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის [TACIS], რომელიც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან ერთად საქართველოსთვისაც იქნა შეთავაზებული. ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკა TACIS-ის სხვა ქვეყნების მსგავსი უფრო იყო, ვიდრე პოლონეთისა თუ უნგრეთის, თუმცა, ევროკავშირმა მაინც მიიჩნია ისინი PHARE-ში მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნებად. ამან კი, უფრო მეტად გაუსვა ხაზი ბალტიელების ევროპელობას (Mole, 2012, გვ.154). PHARE-ს პოლიტიკური უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახდა, როდესაც ის მოგვიანებით დახმარების პაკეტად გარდაიქმნა „ევროპის შეთანხმებების“ ქვეყნებისათვის, მათი ევროკავშირში განწვრიანებისკენ მიმავალ გზაზე (Dent, 2002, გვ.117). 1995 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან „ევროპის შეთანხმებების“ ხელმოწერით, ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა ისინი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილად და ამასთან ერთად, დასახა მათი განწვრიანების პერსპექტივაც (Elsuwege, 2008, გვ.130). ბალტიისპირეთის ქვეყნები მოქმედებდნენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატების ახლადმიღებული სტატუსის შესაბამისად და ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადით 1995 წელს მიმართეს (Pautola, 1996, გვ.23). მოსამზადებელი ეტაპი 2002 წელს დასრულდა, ხოლო 2003 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა განწვრიანების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ისინი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები ოფიციალურად 2004 წლის 1 მაისს გახდნენ (Grigas et al, 2003, p. 22).

როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების ამ მოკლე მიმოხილვამ ცხადყო, რომ ბალტიელებისთვის ევროინტეგრაციის პროცესი მათსა და ევროკავშირის შორის სინერგიას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ცალმხრივ ძალისხმევას. ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება დაიწყო 1989-1991 წლების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რევილუციების პარალელურად, ლოზუნგით „დაბრუნება ევროპაში“ (Bretherton & Vogler, 2006, გვ.25). ბერლინის კედლის დაცემისთანავე ევროპულმა საზოგადოებამ განაცხადა, რომ წევრი სახელმწიფოები „სრულად აცნობიერებდნენ იმ კოლექტიურ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ევროპის ისტორიის ამ გადამწყვეტ ფაზაში დაეკისრათ“ (European Council, 1989, გვ.15). 1993 წელს ევროპულმა საბჭომ მკაფიო ვალდებულება აიღო შემდეგი განაცხადის გაკეთებით: „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ეს სურთ, კავშირის წევრები უნდა გახდნენ. განწვრიანება მოხდება, როგორც კი ქვეყანას წევრობის ვალდებულებების აღება შეეძლება ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების დაკმაყოფილებით“ (European Council, 1993, p.13). ევროკავშირმა პირობა დადო, რომ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით, ევროპის კავშირის სრულუფლებიანი წევრები გახდებოდნენ.

ისეთი პირველადი წყაროების გადახედვისას, როგორებიცაა ევროკავშირის ოფიციალური პირების გამოსვლები თუ გაფორმებული ხელშეკრულებები, იკვეთება, რომ ევროკავშირის მიერ მორალურ

ვალდებულად არის აღქმული აღმოსავლეთით გაფართოება. როგორც ჩანს, სწორედ, ამან გამოიწვია გაფართოების გადაწყვეტილების მიღება, მოსალოდნელი გამოწვევების მიუხედავად. გაფართოების მაშინდელმა კომისარმა [1999-2004], ბატონმა გიუნტერ ფერჰოიგენმა განაცხადა, რომ: „რკინის ფარდის გაქრობასთან ერთად, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა და ვალდებულება წავიდეთ წინ ინტეგრაციით და განვკურნოთ ჩვენი კონტინენტის დაყოფის შედეგად მიყენებული ჭრილობები. ეს პროექტი, უპირველეს ყოვლისა, ეხება მშვიდობას და მხოლოდ შემდგომ – გაფართოებას“ (European Commission, 2002a, გვ.5). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უკან დაბრუნების მორალური პასუხისმგებლობა ხაზგასმულია გაფართოების სტრატეგიის დოკუმენტში, რომელშიც ვკითხულობთ: „ევროკავშირის გაფართოებას ახლა, ლუქსემბურგის (1997) და ჰელსინკის (1999) ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე აქვს უპრეცედენტო პოლიტიკური, ისტორიული და მორალური მნიშვნელობა. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გაფართოება. ფაქტობრივად, ეს ჩვენი კონტინენტის გაერთიანებას ნიშნავს. ჩვენ მივიწვევთ დაყოფიდან ერთიანობისკენ...[ხაზგასმით]“ (European Commission, 2000, გვ.3). კომისიის მაშინდელმა პრეზიდენტმა [1999-2004], ბატონმა რომანო პროდიმ თავად დაასახელა აღმოსავლეთის გაფართოების მოახლოება, როგორც „ევროპის ისტორიული ვალდებულება“: „ეს არის ... ევროპის ისტორიული მოვალეობა. გაფართოება – სხვა სიტყვებით, ამ კონტინენტის გაერთიანება – ასრულებს ევროპის ისტორიაში ერთ თავს და საფუძველს უყრის მომავლის მშენებლობას“ (European Commission, 2001, გვ.2).

შესაბამისად, ფორმულა „დაბრუნება ევროპაში“ გამოიყენებოდა 2004 წლის აღმოსავლეთის გაფართოების ზოგად გამართლებად და ბუნებრივად მიემართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევასაც. ჯერ კიდევ 1993 წელს, ჰელსინკის მინისტრიალზე, საგარეო ურთიერთობათა საკითხებში [1993-1995] მაშინდელმა ევროკომისარმა, ბატონმა ჰანს ვან დენ ბრუკმა, ხაზი გაუსვა საჭიროებას ბალტიისპირეთის ქვეყნებს მიეღოთ „მონაწილეობა ევროპის გაერთიანების უფრო ფართო პროცესში“ (European Commission, 1993). 1994 წელს, ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიეტუვასთან ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ევროკავშირის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ ეს ღონისძიება აღნიშნავდა „უკიდურესად მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში“ და მიზნად ისახავდა „მათი ადგილის აღდგენას ევროპის თავისუფალი ხალხების წრეში“ (European Commission, 1994). 1995 წელს, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულებების გაფორმებისას, საბჭოს პრეზიდენტებმა და კომისიამ განაცხადეს, რომ ეს იყო ნიშანი "ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროპულ ოჯახში დაბრუნებისა" (European Commission, 1995a). ევროკომისიის მიერ შემდგომ გავრცელებული პრესრელიზის თანახმად, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი „მიჩნეულ იქნენ ევროკავშირის პოტენციურ მომავალ წევრებად“ (European Commission, 1995b). საბოლოოდ, კომისიის მოსაზრებებმა ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში განწევრიანებაზე განაცხადების შესახებ დაადასტურა, რომ მათი განწევრიანება იყო „ისტორიული პროცესის ნაწილი, რომლის დროსაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ძღვევენ კონტინენტის დანაწევრებას, რომელიც გრძელდებოდა 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, და უერთდებიან კავშირის მიერ შექმნილ მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის სივრცეს“ (European Commission, 1997a; 1997b, 1997c).

ამ ფონზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლადდამოუკიდებელი ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ევროპულობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ მდგარა. ევროპულ ქვეყნებს ოფიციალურად არასდროს უღიარებიათ საბჭოთა მმართველობა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე და მათი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებაც უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე სხვა კომუნისტური სახელმწიფოების შემთხვევაში (Takamaa and Koskeniemi, p.200-204). ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ევროპულობა ევროკავშირის თვალში აღიარებულ და უდავო ქვეყნებად წარმოადგენდა.

თუმცა, სათანადოდ უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ ლეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა შეძლეს გაეტარებინათ ფართომასშტაბიანი, ზოგჯერ ტრავმული, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეფექტური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები (Vilpisauskas, 2005). ამ რეფორმების მნიშვნელობის დაკნინების ნაცვლად, ავტორი მიიჩნევს, რომ ხსენებული რეფორმების სისწრაფე და მასშტაბები, ევროკავშირის მხრიდან ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებით გაცემულმა დაპირებამ განაპირობა. იმ მასტიმულირებელი ეფექტის საპირისპიროდ, რაც ევროკავშირის დამოკიდებულებას ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისადმი, ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა პოლიტიკამ და დისკურსულმა პრაქტიკამ, უარყოფითად იმოქმედა ამ უკანასკნელის ევროპულ ამბიციებზე.

ევროპის მეზობელი „სხვა“: საქართველოს სადავო ევროპულობა

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ახლადშექმნილმა დამოუკიდებელმა საქართველომ მზერა ევროპისკენ მიაპყრო. 1991 წელს საქართველომ უარი თქვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე და იმავე წელს დაიწყო ოფიციალური ურთიერთობა ევროკავშირთან. პასუხისმგებლობა და ვალდებულებები ორმხრივი იყო: საქართველომ ერთგულება აღუთქვა დასავლურ ღირებულებებს, როგორებიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, ხოლო ევროკავშირმა, თავის მხრივ, აიღო პასუხისმგებლობა დახმარებოდა საქართველოს ამ ვალდებულებების შესრულებისას გამონვევების დაძლევაში. აღთქმის ამ გაცვლამ ფორმალურად TACIS-ის ფორმა მიიღო. საქართველომ მიიღო ევროპეიზაციის გამონვევა, რისკენ ისტორიულადაც მიისწრაფოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლიდან ევროკავშირი წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ძირითად დაფინანსების წყაროს (International Monetary Fund, 2003, გვ.89). ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსადმი მართლაც არსებითი იყო, თუმცა, ეს განცხადება ქვეშარითა მხოლოდ ციფრებთან მიმართებით – რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას, ევროკავშირი დიდ თავშეკავებულობას იჩენდა. TACIS-ის შეთანხმება კონტრასტში იყო PHARE-სთან, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებს შესთავაზეს. PHARE იყო სპეციალურად შექმნილი „წინასწარი გაწევრიანების სტრატეგიის მთავარი ფინანსური ინსტრუმენტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს ევროკავშირში გაწევრიანებაზე“ (EUR-Lex, 2007a). აქედან გამომდინარე, PHARE მიმართული იყო მდგრად ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ განვითარებაზე, როდესაც TACIS უფრო მეტად გადაუდებელი დახმარების ინსტრუმენტს წარმოადგენდა მკაფიო სტრატეგიის გარეშე (Rinnert, 2011, გვ.6). შესაბამისად, 90-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირმა ამჯობინა საქართველოს ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებით შემოზღუდულიყო.

თუმცა, 90-იანი წლების შუა ხანებში ევროკავშირი უფრო მეტად ინტერესდება საქართველოთი და მთლიანად სამხრეთ კავკასიით [სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო]. 1994-1996 წლების განმავლობაში 10-მა, და აქედან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათმა ქვეყანამ გააკეთა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე, რამაც აღმოსავლეთით გაფართოება გარდაუვალ რეალობად აქცია (EUR-Lex, 2007b). საქართველოში დემოკრატიული და სტაბილური გარემო მოულოდნელად მეტად რელევანტური გახდა თავად ევროკავშირის მშვიდობასა და უსაფრთხოებისთვის. ამგვარად, 1995 წელს ევროკავშირმა გახსნა თავისი ოფისი თბილისში და საფუძველი ჩაუყარა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას [PCA], რომელსაც ერთი წლის შემდეგ მოენერა ხელი ლუქსემბურგში (Siskova, 2014, გვ.136). PCA იყო წინგადადგმული ნაბიჯი საქართველო-ევროკავშირის ორმხრივ ურთიერთობებში, თუმცა, ვერ გაუტოლდებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის შეთავაზებულ ევროპის შეთანხმებას. PCA ბევრად უფრო ზოგადი ხასიათისა იყო და ბალტიისპირეთისთვის შეთავაზებული ალტერნატივისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებდა ევროკავშირში მომავალი გაწევრიანების შესაძლებლობას (Cameron, 2002, p.89-90).

მოგვიანებით, 2003 წელს, ევროკავშირის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ხავიერ სოლანამ, ხაზგასმით აღნიშნა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში და განაცხადა, რომ „ახლა ჩვენ უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი უნდა გამოვიჩინოთ სამხრეთ კავკასიის პრობლემებისადმი, რომელიც მოკლე დროში ასევე იქნება მეზობელი რეგიონი“ (European Council, 2003, გვ.10). იმავე წელს, ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში – ბ-ნი ჰეიკი ტალვიტიე (European Commission, 2003 წ.) და 2004 წელს შესთავაზა საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს გაწევრიანებულებიყვნენ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP), რომელიც სპეციალურად შეიქმნა, რათა ევროკავშირი გარშემორტყმულიყო „მეგობრების რგოლით“ (European Commission, 2002b, გვ.4). ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტის, რომანო პროდის, ამ ცნობილმა ტერმინმა შექმნა რეალობა, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროპა არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ENP-ში გაწევრიანება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების განვითარების გზაზე, ამ ფაქტმა გამოიწვია საქართველოს ევროპის მეზობლის [„სხვები“] სტატუსის არასახარბიელო ლეგიტიმაცია, ნაცვლად იმისა, რომ საქართველო მის ნაწილად ექცია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, ბელარუსის, მოლდოვას და უკრაინას გარდა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში შემავალი სხვა ქვეყნები გეოგრაფიულადაც კი არ მიეკუთვნებოდნენ ევროპის კონტინენტს და, შესაბამისად, ვერასდროს მიიღებდნენ ევროკავშირის წევრობის უფლებას.

საქართველოს „სხვად“ აღქმა ბუნებრივად მოხდა, ვინაიდან საქართველო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის კონტექსტის გარეშე არ განიხილებოდა. კავკასიის არასტაბილურობის, ფრაგმენტაციისა და ევროპის კონტინენტისადმი სადავო კუთვნილების ფონზე, „კავკასიურ ხაფანგში“ მოხვედრა პრობლემატური აღმოჩნდა საქართველოსთვის. საყოველთაოდ იყო მიღებული, რომ ევროპა მთავრდებოდა ურალთან, ასეთი მიდგომა კი სამხრეთ კავკასიას „მეორე“ მხარეს ტოვებდა (Jonsson et al., 2000, p.6). მათი ევროპისადმი მიკუთვნებულობის ეჭვქვეშ დაყენება გეოგრაფიული კომპონენტის გათვალისწინებით, ევროკავშირში განუვრიალების დაბალ პერსპექტივაზე მიუთითებდა, მიუხედავად იმისა, რომ სომხები და ქართველები უდავოდ ევროპელებად მიიჩნევენ თავს. უფრო მეტიც, სადავო იყო არა მხოლოდ მათი ევროპული იდენტობა, არამედ სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი სახელმწიფოს ევროპული არჩევანიც (Nuriyev, 2007, p.5). ამგვარად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი ერთიანი მიდგომა ზიანს აყენებდა საქართველოს, რომელმაც ევროინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა და დამოუკიდებლობის დღიდან იბრძოდა რუსეთის რეგიონიდან გაძევებისთვის. „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ 1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე (Tarkhan-Mouravi, 2014, გვ.65).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების ევროპეიზაციის წყურვილი არ არის მხოლოდ პოსტსაბჭოთა ფენომენი. სუვერენულმა საქართველომ განვითარების ევროპული ვექტორი ჯერ კიდევ 1918 წელს აირჩია, როდესაც ქვეყანამ პირველად გამოაცხადა დამოუკიდებლობა მეფის რუსეთისგან. „რუსეთმა შემოგვთავაზა სამხედრო ალიანსი, რაც ჩვენ უარვყავით. ჩვენ სხვადასხვა გზას ვადგავართ, ისინი აღმოსავლეთისაკენ მიემართებიან და ჩვენ დასავლეთისაკენ“, – ამტკიცებდა საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე, ბატონი ნოე ჟორდანი (Kirchick, 2010). 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციამ 70 წლით შეაფერხა საქართველოს ევროპული ოცნება, მაგრამ დასავლეთისკენ სწრაფვა საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კვლავ განახლდა. თუმცა, მტკიცება იმისა, რომ საქართველო ევროპული იდენტობის მატარებელია, გამოწვევად დარჩა.

ევროკავშირმა საქართველოსადმი გამოჩენილი მხარდაჭერა შერაცხა „სხვების“ დახმარებად. ევროკავშირი დაეხმარა საქართველოს რეფორმების განხორციელებაში დამატებითი პასუხისმგებლობების აღების გარეშე. „საქართველოს მომავალი თქვენზე იქნება დამოკიდებული – თქვენს წადიღზე რომ თქვენი ქვეყანა ამუშავდეს“, – ხაზგასმით აღნიშნა ევროკომისიის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბატონმა რომანო პროდიმ (European Commission, 2004 წ.).

ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, – დახმარებას წინ უძღოდა ვალდებულება. TACIS-ის ინიციატივა ამ მხრივაც საინტერესოა. შეთანხმებაში საუბარი იყო საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციაზე და არა ევროპულში: „TACIS-ს აქვს სამი ძირითადი მიზანი: საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში ხელშეწყობა, პარტნიორობისა და კავშირგაბმულობის ყველა დონეზე წახალისება და განვითარება და ბენეფიციარი ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში“ (Cordis, 1995). არც ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებდა ევროკავშირში შემდგომში განუვრიალების პერსპექტივას. ბატონმა ვერჰოგენმა, ევროკომისარმა გაფართოების საკითხებში [1999-2004], ასე განმარტა, – „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების [ევროკავშირის] წევრობა არ არის ჩვენს დღის წესრიგში“ (EurActiv, 2004).

ამრიგად, საქართველო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მაგალითი იმისა, რასაც თ. კაზიე (T. Casier) (2008) „გაფართოების დილემას“ უწოდებს (გვ. 19), – ევროკავშირის ტაქტიკა მიზნად ისახავს თავიდან აირიდოს მორალური პასუხისმგებლობა, თავის რიგებში მიიღოს ყველა ქვეყანა, რომელიც ევროპული ფუნდამენტური კრედოს ერთგულია (Casier, 2008). 2004 წელს, ბრიუსელში ვიზიტის დროს, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა თავისივე რწმენა, რომ საქართველო მალე მზად იქნებოდა ევროკავშირის წევრობისთვის. ა. როხოვანსკი Eurasianet-იდან (2004) ამბობს, რომ კომისიის მაშინდელი პრეზიდენტმა, რომანო პროდიმ, არ გაიზიარა სააკაშვილის ენთუზიაზმი. აღნიშნულის ზუსტი ციტატა არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა, მისი ადრინდელი შენიშვნა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებოა: „ხალხი ახალ ზელანდიაშიც გრძნობს, რომ ისინი ევროპელები არიან. ეს არის პრობლემა. ჩვენ არ შეგვიძლია შევიზღუდოთ თავი ისტორიული ფესვების გათვალისწინებით. ჩვენ, ასევე, უნდა მივცეთ ევროკავშირის ბუნებრივი ზომა“, – აღნიშნა პროდიმ დანიური გაზეთის Jyllands-Posten-თან ინტერვიუში (Pihl, 2002).

მიგნებების თეორეტიზაცია

დისკურსული ინსტიტუციონალიზმი, ინსტიტუციონალისტურ კვლევებში შედარებით ახალი მიმართულებაა. დისკურსული ინსტიტუციონალიზმის ავტორი, ვივიენ შმიდტი, ინსტიტუციონალურ სისტემაში იდეებისა და დისკურსის როლის შესწავლით, ცდილობს შეავსოს ის ჩავარდნები, რაც ტრადიციულ ინსტიტუციონალურ მიდგომებს გააჩნიათ. ამგვარად, შმიდტი შთაგონებას კონსტრუქტივისტული ონტოლოგიიდან იღებს. დისკურსული ინსტიტუციონალიზმი მეტად შესაფერის ინსტრუმენტად არის მიჩნეული ამ სტატიაში განხილული ემპირიული თავსატეხის ამოსახსნელად, რადგანაც ის შმიდტის პოსტულატების მსგავსად, ეხება როგორც „იდეების არსებითი შინაარსს“, ჩაქსოვილს ევროკავშირის პოლიტიკაში ბალტიისპირეთის ქვეყნების და საქართველოს მიმართ, ისე, მათკენ მიმართულ „დისკურსის პროცესებს“ (Schmidt, 2012, გვ.2).

შმიდტი დისკურსის „იდეურ“ და „ინტერაქტიულ“ განზომილებებს გამოჰყოფს. პირველი მოიცავს დისკურსის კოგნიტურ და ნორმატიულ ფუნქციებს, ხოლო მეორეს კოორდინაციული და კომუნიკაციური ფუნქციები გააჩნია. იდეური განზომილებით რომ დავიწყოთ, მისი კოგნიტური ფუნქცია „ცენტრალური იდეის“ ფორმულირებას გულისხმობს, რომელიც შემდგომში „პოლიტიკის შემქმნელებისთვის საფუძველი ხდება სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზების მოსაფიქრებლად“ (Schmidt, 2002, გვ. 218-219). ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის შემთხვევაში, ამ „ცენტრალურმა იდეამ“ ასახვა ჰპოვა „ევროპაში დაბრუნების“ ფორმულაში, რომელიც აღქმული იყო, როგორც ზოგადი გამოსავალი საბჭოთა ოკუპაციით გამოწვეული, ევროპის დაყოფის პრობლემის გადასაწყვეტად.

დისკურსის ნორმატიული ფუნქცია ამ იდეებს შემდგომში პრობლემის უფრო კონკრეტულ, პოლიტიკაზე ორიენტირებულ გადაჭრის გზებად აქცევს, შესაბამისობის ლოგიკის დაცვით (Schmidt, 2002, გვ.202). ამ ლოგიკის მიხედვით, ევროკავშირი თავს ვალდებულად თვლიდა გაფართოებულიყო აღმოსავლეთით, რადგან ეს გადაწყვეტილება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული იმ ინტერესების და, შესაბამისად, ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ იდენტობას მოსდევდა. თუმცა, შესაბამისობის ლოგიკა ვალდებულებასაც ისე გულისხმობს [ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი], როგორც არავალდებულებას [საქართველოს მაგალითი]. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ამტკიცებს, რომ შესაბამისობის ლოგიკა ევროკავშირის მხრიდან ბალტიელების ევროპაში დაბრუნებას მოითხოვდა, მაშინ, როცა იმავე ლოგიკით, საქართველო „მეზობლის“ სტატუსისთვის უფრო შესაფერისად განიხილებოდა, ვიდრე წევრის სტატუსისთვის. „კავკასიურობამ“ საქართველოს დამატებითი, „განსხვავებულობის“ ტვირთი დააკისრა, რადგან ევროკავშირმა საქართველოსთან ურთიერთობა ბევრად უფრო მართებულად მიიჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონულ კონტექსტში.

რაც შეეხება ინტერაქტიულ განზომილებას, მისი „კოორდინაციული ფუნქცია“ იმ ცნების მსგავსია, რასაც ფრენკ შიმეფელინგმა (2010) „რიტორიკული მახე“ (გვ.272-279) უწოდა და ის საზოგადოების წევრთა შორის მიმდინარე შიდა მოლაპარაკებებში ვლინდება. თუმცა, ეს ფუნქცია სცილდება ამ სპეციფიკური კვლევის ინტერესს, რადგან სტატიის ავტორი ეძებს არა „დამალულ დღის წესრიგს“, არამედ იმას, რაც რეალურად იქნა გადაცემული სამიზნე აუდიტორიისათვის ბალტიისპირეთის ქვეყნებში და საქართველოში, ე.ი. „საკომუნიკაციო ფუნქციას“ (Schmidt, 2008, გვ.310). შესწავლილ პოლიტიკასა თუ დისკურსულ კომუნიკაციებში, ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროპულ ქვეყნებად იყვნენ აღიარებულნი [ერთ-ერთი ჩვენგანი], საქართველო კი ევროპის საუკეთესო მეზობლად იყო მოხსენიებული. ამ ლოგიკის მიხედვით, არ შეიძლება იყო „ევროპელი“, სანამ ეს არ იქნება აღიარებული და სანამ ევროპულობა/ევროპელობა დისკურსული და პოლიტიკური პრაქტიკების საშუალებით არ კონსტრუირდება, – სოციალური ინტერაქცია (Schmidt, 2002).

ამრიგად, დისკურსული ინსტიტუციონალიზმის ლოგიკა მეტად გამოსადეგია მოცემული საკვლევი თემისათვის და, პოტენციურად შესაძლებელიც კია, რომ მან ევროპისმცოდნეობის შესახებ კონსტრუქტივისტულ ანგარიშებში არსებული ჩავარდნები შეავსოს. უფრო მეტიც, შმიდტი გვთავაზობს თეორიას, რომელიც ანალიტიკურ სტრატეგიასთანაა შერწყმული, – ის, რაც განიხილება „ძირითად ნაკლულ მაკავშირებელ რგოლად თეორიასა და კვლევას შორის“ (Adler, 2002, გვ.109). შმიდტის თეორიული „რუკა“ საშუალებას გვაძლევს, გავერვკიოთ, თუ როგორ ყალიბდება ევროინტეგრაციის პროცესი იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირში განწევრიანებისაკენ ისწრაფვიან, ევროკავშირის მიერ ევროპული იდენტობის აღქმის ფონზე.

დასკვნა

კვლევის სტიმულირება მოახდინა იმ ემპირიულმა „თავსატეხმა“, რომელსაც ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესების შედარება წარმოადგენს. ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო ერთდროულად შეუდგნენ ევროპისკენ მიმავალ გზას, მსგავსი მონდომებითა და პოტენციალით, გამხდარიყვნენ „დასავლეთ ევროპის საერთაშორისო თანამეგობრობის“ სრულფლებიანი წევრები, თუმცა, საბოლოოდ აღმოჩნდნენ ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვა საფეხურზე. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს თავსატეხის ამოხსნა შეუძლებელია იმ როლის გააზრების გარეშე, რაც ევროკავშირის დამოკიდებულებამ ითამაშა ბალტიისპირეთისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესებში.

ავტორმა ვივიენ შმიდტის დისკურსული ინსტიტუციონალიზმი გამოიყენა ბალტიელებისა და ქართველების ევროპელობის ინტერპრეტაციისთვის, როგორც დისკურსის „იდეალური“ და „ინტერაქტიული“ ფილტრი, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირმა განიხილა მათი ევროპეიზაციის სურვილი. მთლიანობაში, „დისკურსი მოიცავს როგორც პოლიტიკის იდეებისა და ღირებულებების ერთობლიობას, ასევე, პოლიტიკის აგებისა და კომუნიკაციის ინტერაქტიულ პროცესს“ (შმიდტი, 2002, გვ. 40), რასაც ავტორი ეძებდა ევროკავშირის პოლიტიკასა და მათ მიმართ დისკურსიულ პრაქტიკაში. შედეგად, ცხადი გახდა ევროკავშირის წინარე განწყობები ბალტიელებისა და ქართველების ევროპელობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო ან შეუშალა ევროინტეგრაციის პროცესებს შესაბამის ქვეყნებში. ავტორმა დაადასტურა, რომ ევროკავშირმა ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროპულად შეაფასა [ერთ-ერთი „ჩვენ-განი“], რამაც მათ გზა გაუხსნა წევრობისკენ, ხოლო საქართველო განიხილა, როგორც ევროპული იდენტობის არმქონე „სხვები“, რამაც შეზღუდა მისი ინტეგრაციის პერსპექტივა. ევროპული იდენტობა გამოყენებულ იქნა ევროკავშირის პოლიტიკასა და დისკურსში, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნების და საქართველოს მეტი და ნაკლები ევროინტეგრაციის გამართლება.

მიუხედავად ღირებული ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებისა, ევროკავშირი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში პოლიტიკური ვალდებულების გარეშე ჩაერთო, ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში კი, პირიქით – ვალდებულება წინ უსწრებდა დახმარებას. უფრო მეტიც, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია განიხილებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პროცესების ანალოგიურად, რაც ხაზს უსვამდა საქართველოს სამხრეთ კავკასიურ იდენტობას და არა მის კუთვნილებას ისტორიული ევროპისადმი.

ევროკავშირის პოლიტიკები, როგორცაა TACIS, PCA, ENP, – არ იყო ორიენტირებული საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე, არამედ ახდენდა „მეგობრობის ზონის“ ინსტიტუციონალიზებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. საქართველოს შემთხვევისგან განსხვავებით, ანალიზმა აჩვენა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ხვდათ წილად ჰქონოდათ პრეფერენციული მოპყრობა, როგორც დისკურსიულ [ფორმულა „ევროპაში დაბრუნება“], ასევე, პოლიტიკის დონეზე [PHARE, ევროპული შეთანხმება, კანდიდატის სტატუსი].

ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი იღებდნენ ყველა შესაძლო პოზიტიურ სიგნალს ევროკავშირისგან, რაც მათ აძლევდა რწმენის საფუძველს, რომ მათი ევროპეიზაციის მცდელობები უშედეგოდ არ ჩაივლიდა. ავტორი ამტკიცებს, რომ წარმატებული რეფორმები, რომლებიც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაატარეს, გახლდათ პასუხი ევროკავშირის მხარდამჭერ დამოკიდებულებაზე. დაპირება, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები, გაცემული იყო მანამ, სანამ ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი კოპენჰაგენის კრიტერიუმების განხორციელების გზას დაადგებოდნენ. ამის საპირისპიროდ, უპირატესი გზავნილი, რომელიც ქართველებს მიეწოდებოდათ, იყო ის, რომ ევროკავშირი არ გააფართოვებდა საზღვრებს ისე, რომ საქართველო მოეცვა. რეალური პერსპექტივის გარეშე დარჩენილი საქართველო ჩაეფლო საკუთარი იდენტობის ძიების მტკივნეულ პროცესში.

შეჯამებისთვის, ევროკავშირის დიფერენცირებული დამოკიდებულება ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს მიმართ გამოიხატა განსხვავებული ტიპის შეთანხმებებში, რომლებიც ამ ქვეყნებს შესთავაზეს და დისკურსში, რომელიც, შესაბამისად, წამახალისებელი ან პირიქით, უპერსპექტივო იყო. ევროკავშირი ხაზს უსვამდა ბალტიელების ევროპელობას და მათ ევროპულ ოჯახში, შინ დაბრუნების მოვალეობას. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირმა საქართველო მეგობრულ მეზობლად მოიაზრა, რომელიც ოფიციალურად და არაოფიციალურად „სხვად“ აქცია თავისი პოლიტიკითა და რიტორიკით. ამრიგად, ავტორი ამტკიცებს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვა გზა ჩამოყალიბდა ევროკავშირის მიერ მათი ევროპული იდენტობის განსხვავებული აღქმის ფონზე.

რამდენადაც ეს მიგნებები თავისთავად ღირებულია, ისინი, ასევე, მნიშვნელოვანია ევროკავშირის დამოკიდებულების გასაგებად ევროპული ინტეგრაციის პროცესების მიმართ, რომლებსაც აშკარად გადიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები, როგორცაა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. ისტორია ახლახან განმეორდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ იგრძნო მორალური პასუხისმგებლობა აღმოსავლეთისკენ გაფართოების თვალსაზრისით, რისი მიზეზიც უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული უწყვეტი ომი გახდა.

„ევროპაში დაბრუნების“ ფორმულა აღორძინდა და გამოყენებულ იქნა უკრაინისა და მასთან ერთად – მოლდოვას მიმართ, რომელმაც ისტორიული შესაძლებლობით ისარგებლა და უკრაინასთან ერთად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში განწევრიანებაზე. თუმცა, ამასთან, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი ჩიხში შევიდა ან მინიმუმ დაყოვნდა და იკვეთება, რომ რუსეთის ომის საპასუხოდ ევროკავშირის ისტორიული გაფართოება საქართველოს გარეშე ჩაივლის. აღნიშნული აჩენს კითხვებს მსგავსს იმისა, რაც ავტორის მიერ იყო დასმული და რომლებზეც პასუხის გაცემის მცდელობასაც წინამდებარე სტატია წარმოადგენს.

Bibliography

- Adler, E. (2002) 'Constructivism and International Relations', in W. Carlsnaes, T. Risse and B. A. Simmons (eds), *Handbook of International Relations*, London: Sage, pp. 95-118
- Bretherton, C. & Vogler, J. (2006) *The European Union as a Global Actor*, New York: Routledge
- Cameron, P. (2002). *Competition in Energy Markets: Law and Regulation in the European Union*, New York: Oxford University Press
- Casier, T. (2008). "The New Neighbours of the European Union: The Compelling Logic of Enlargement" in J. DeBardeleben (Ed.), *The Boundaries of EU Enlargement: Finding a Place for Neighbours*. Hampshire, England: Palgrave Macmillan.
- Cordis (1995). *Cooperation between the European Union and Russia*, available at: <https://cordis.europa.eu/article/id/4300-cooperation-between-the-european-union-and-russia>
- Dawisha, K. & Parrott, B. (1994) *Russia and the New States of Eurasia: The Politics of Upheaval*, New York: Cambridge University Press
- Dent, C. (2002). *The European Economy: The Global Context*, London: Routledge
- Elsuwege, P. (2008). *From Soviet Republics to EU Member States: A Legal and Political Assessment of the Baltic States' Accession to the EU*, Leiden: Martinus Nijhoff Publishers
- EUR-Lex (2007a). PHARE Program. Summaries of EU Legislation, available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM%3Ae50004>
- EUR-Lex (2007b). *The 2004 enlargement: the challenge of a 25-member EU*. Summaries of EU Legislation, available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM%3Ae50017>
- Euractiv (2004). *'New Neighbours': Commission adds three countries, rules out debate on future borders*, available at: <https://www.euractiv.com/section/central-europe/news/new-neighbours-commission-adds-three-countries-rules-out-debate-on-future-borders/>
- Eurasianet. (2004). *EU Extends Cooperation with Georgia, but Expresses Caution on Accession Issue*. Available at: <https://eurasianet.org/eu-extends-cooperation-with-georgia-but-expresses-caution-on-accession-issue>
- Europa Publications ed. (2003). *The Europa World Year Book*, Volume I: *International Organizations; Countries: Afghanistan-Jordan*, Europa Publications, London: Taylor & Francis
- European Commission (1995a). Signing the Europe Association Agreements with Estonia, Latvia and Lithuania, 12 June 1995, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/PRES_95_173
- European Commission (1995b). Europe Agreements Initialled with Estonia, Latvia and Lithuania, Press Release, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_95_379
- European Commission (1997a). Agenda 2000 – Commission Opinion on Latvia's Application for Membership of the European Union, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_97_14
- European Commission (1997b). Agenda 2000 – Commission Opinion on Lithuania's Application for Membership of the European Union, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_97_15

- European Commission (1997c). Agenda 2000 – Commission Opinion on Estonia's Application for Membership of the European Union, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_97_12
- European Commission (2000). *Enlargement Strategy Paper: Report on Progress Towards Accession by each of the Candidate Countries*. European Commission Press, available at: http://ec.europa.eu/enlargement/archives/pdf/key_documents/2000/strat_en.pdf
- European Commission (2001). *"The Enlargement"*, Speech by Romano Prodi President of the European Commission to the European Parliament Strasbourg, 13 November 2001, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_01_531
- European Commission (2002a), *Learn from History and Shape the Future*, Main extracts of Mr Verheugen's Speech, Center for International Relations and 'Rzeczpospolita', Warsaw, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_02_334
- European Commission (2002b). *"A Wider Europe – A Proximity Policy as the key to stability"*, Statement by Romano Prodi, President of the European Commission, Sixth ECSA-World Conference. Jean Monnet Project. Brussels, 5-6 December 2002, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_02_619
- European Commission (2003). *Council appoints an EU Special Representative for the South Caucasus*, Brussels, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/PRES_03_196
- European Commission (2004). *To students and representatives of civil society in Georgia*, Speech by Romano Prodi, President of the European Commission, Tbilisi State University, Georgia, available at: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_04_407
- European Commission. (1993). Statement by Mr. Hans Van Den Broek at the Council of the Sea States: Second Ministerial Session- Helsinki, 16 March 1993, available at: http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-93-26_en.htm?locale=FR
- European Commission. (1994). Free Trade Agreement Ceremony Between the European Communities and Estonia, Latvia and Lithuania- Brussels, 18 July 1994, available at: http://europa.eu/rapid/press-release_PRES-94-148_en.htm
- European Council (1989), 8-9 December 1989, Presidency Conclusions, Strasbourg, available at: https://www.consilium.europa.eu/media/20580/1989_december_-_strasbourg__eng_.pdf
- European Council (1993), European Council in Copenhagen, 21-22 June 1993, Conclusions of the Presidency, available at: <https://www.consilium.europa.eu/media/21225/72921.pdf>
- European Council (2003). *A Secure Europe in a Better World: European Security Strategy*, Brussels, available at: <http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-15895-2003-INIT/en/pdf>
- George, A., & Bennett, A. (2005). *Case Studies and Theory Development in the Social Sciences*, Massachusetts: MIT Press
- Grigas, A. et al (2003) *The Baltic States in the EU: Yesterday, Today and Tomorrow*, Notre Europe, Jacques Delors Institute
- Gylfason, T. & Hochreiter, E. (2008) *Growing Apart? A Tale of Two Republics: Estonia and Georgia*, Working Paper, International Monetary Fund
- International Monetary Fund (2003). Georgia: Poverty Reduction Strategy Paper, IMF Country Report No. 03/265, Washington D.C.
- Jonsson et al. (2000). *Organizing European Space*. London: SAGE Publications
- Kasekamp, A. (2010). *A History of Baltic States*. London: Palgrave Macmillan
- Kirchick, J. (2010). "Letter from Tbilisi: Georgia Between Two Powers. Russia on their mind", Radio Free Europe/Radio Liberty, available at: https://pressroom.rferl.org/a/Kirchick_in_Foreign_Affairs/2088521.html
- Mole, M. (2012). *The Baltic States from the Soviet Union to the European Union: identity, discourse and power in the post-communist transition of Estonia, Latvia and Lithuania*, London and New York: Routledge, Taylor & Francis Group.
- O'Connor, K. (2003). *The History of the Baltic States*, Westport: Greenwood Press
- Pautola, N. (1996) 'The Baltics and the European Union- On the Road to Membership, Review of Economies in Transition', *Bank of Finland*, No.4, pp.21-40
- Pihl, L. (2002). *Prodi: EU enlargement must stop somewhere*. Available at: <https://euobserver.com/institutional/8530>
- Rinnert, D. (2011). The Eastern Partnership in Georgia: Increasing Efficiency of EU Neighborhood Policies in the South Caucasus? Working Paper, SWP Berlin
- Rukhadze, V. (2012). European Union's Eastern Neighborhood: How Much Can EU Influence? *European Union and World Politics Conference*. New York: The University at Buffalo (SUNY)
- Sabanadze, N. (2010) *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country*, Budapest-New York: Central European University Press.

- Schimmelfennig, F. (2003). *The EU, NATO and the Integration of Europe: Rules and Rhetoric*. London: Cambridge University Press.
- Schimmelfennig, F. (2010). Europeanization beyond the member states, *Journal for Comparative Government and European Policy*, Vol. 8, No. 3 (2010), pp. 319-339
- Schmidt, V. (2002) *Futures of European Capitalism*. Oxford: Oxford University Press.
- Schmidt, V. (2002). *Futures of European Capitalism*. Oxford: Oxford University Press.
- Schmidt, V. (2008). Discursive Institutionalism: The Explanatory Power of Ideas and Discourse. *Annual Review of Political Science*. Vol. 11: 303-326
- Siskova, N. (2014). From Eastern Partnership to the Association: A Legal and Political Analysis, Newcastle: Cambridge Scholars Publishing
- Siversten, S. H. (2011) 'The Dissolution of the Soviet Union: Agency, Performance or Legitimacy?' in Bakke, E., Peters. I. (eds.) *20 Years Since the Fall of the Berlin Wall: Transitions, State Break-Up and Democratic Politics in Central Europe and Germany*, Berliner Wissenschafts-Verlag, pp. 141-159
- Takaama, K. & Koskeniemi, M. eds. (1997). Finnish Yearbook of International Law, Volume 8, Leiden: Kluwer Law International
- Tarkhan-Mouravi, G. (2014) 'Georgia's European Aspirations and the Eastern Partnership' in Jones, S (ed.) *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The first Georgian republic and its successors*, New York: Routledge
- Theiler, T. (2005). *Political Symbolism and European Integration*. Manchester: Manchester University Press.
- Vilpisauskas, R. (2005). The Political Economy of Baltic States' accession into the EU: The impact on the role of the state, Jean Monnet/Robert Schuman Paper Series, Vol. 5, No.21, University of Miami, available at: <http://aei.pitt.edu/8150/1/Vilpisauskasfinalversion.pdf>